



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N10

ქ. მარნეული

24.05.2016 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**ბიუროს წევრები:** - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, ქამილ ალიევი, რაგიმ ასკეროვი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რამიზ გულმამედოვი, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, გიორგი შუკაკიძე, რაფიკ მუსაევი.

**სხდომას ესწრებოდა:** - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პირველი კვარტლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.
3. სოციალური საკითხები.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 22 აპრილის N03/2685 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 15 აპრილის N03/2509 წერილის განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3059 წერილის განხილვის შესახებ.
7. ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „სპორტული სკოლა“-ს 2016 წლის 6 აპრილის N33 წერილის განხილვის შესახებ.

8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 14 აპრილის N1071-03 მოხსენებითი განხილვის შესახებ.
9. ქალაქ მარნეულში მცხოვრები თეა გიორგაძის განცხადების განხილვის შესახებ.
10. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N190 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
11. ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2016 წლის 5 მაისის N4186/03 წერილის განხილვის შესახებ.
12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3036 წერილის განხილვის შესახებ.
13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 11 მაისის N03/3009 წერილის განხილვის შესახებ.
14. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის 2016 წლის 27 აპრილის N1252-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
15. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 მაისის N1447-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
16. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 13 აპრილის N1060-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
17. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 23 მარტის N814-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
18. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 11 იანვრის N38-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
19. მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის 2016 წლის 20 აპრილის N01/16 წერილის განხილვის შესახებ.
20. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 13 მაისის N03/3070 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
21. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 მაისის N1446-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
22. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 აპრილის N03/2407 წერილის განხილვის შესახებ.
23. მოქალაქე სადრადინ გადიმოვის 2013 წლის 23 იანვრის საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ.
24. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პირველი კვარტლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. გამოითქვა აზრი, რომ ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დადებითად. ასევე გამოითქვა შენიშვნა, რომ კანონმდებლობის გათვალისწინებით მოხდეს 2015 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის წარდგენა საკრებულოსათვის, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევმა ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (N03/3076. 23.05.2016წ; N03/3073. 13.05.2016წ; N03/3067. 13.05.2016წ; N03/3071. 13.05.2016წ; ) იმ მოქალაქეებზე სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებების შესახებ, რომლებიც ვერ ჯდებიან სამსახურის სოციალურ პროგრამაში. გამოითქვა აზრი, რომ ვინაიდან მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამ ეტაპზე არ აქვს უფლებამოსილება განახორციელოს აღნიშნული სახის დახმარების გაწევა, საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდება, თუმცა ამ შემთხვევაში ზარალდებიან მოქალაქეები, რაც კიდევ ერთხელ დღის წესრიგში აყენებს საკრებულოსათვის განსაკუთრებულ შემთხვევაში უფლებამოსილების მინიჭებას გადაწყვიტოს სოციალური დახმარების გაწევის საკითხი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 22 აპრილის N03/2685 წერილი ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციისათვის საწევრო გადასახადის გადარიცხვის შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ სასურველია ხელშეკრულების დადებამდე აღმასრულებელი ორგანო შეთანხმდეს საკრებულოსთან და მხოლოდ მას შემდეგ მოხდეს ასეთი ტიპის გადარიცხვები. ამ შემთხვევაში კი ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 15 აპრილის N03/2509 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია სოფელ ხანჯიგაზლოში მცხოვრები მოქალაქე შაიგ ალიევის ფინანსური დახმარების შესახებ, რომელსაც დაეწვა სახლის სახურავი. ბიუროს წევრების გადაწყვეტილებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკითხი განეკუთვნება აღმასრულებელი ორგანოს კომპეტენციას და მოქალაქის დაფინანსება უნდა განხორციელდეს სარეზერვო ფონდიდან, რის გამოც უკან უნდა დაბრუნდეს შემოსული დოკუმენტაცია, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხის განხილვა ამოღებული იქნეს საკრებულოს დღის წესრიგიდან.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3059 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია სოფელ საიმერლოსა და სოფელ წერეთელში მცხოვრები მოქალაქეების ბონდო ტალახადისა და მაგული ჩხიტუნძის ფინანსური დახმარების შესახებ, რომელთაც დაეწვათ სახლები. ბიუროს წევრების გადაწყვეტილებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკითხი განეკუთვნება აღმასრულებელი ორგანოს კომპეტენციას და მოქალაქის დაფინანსება უნდა განხორციელდეს სარეზერვო ფონდიდან, რის გამოც უკან უნდა დაბრუნდეს შემოსული დოკუმენტაცია, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხის განხილვა ამოღებული იქნეს საკრებულოს დღის წესრიგიდან.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ა.ა.ი.პ. „სპორტული სკოლა“-ს 2016 წლის 6 აპრილის N33 წერილი გინესის რეკორდსმენის დავით ჟორჯოლიანისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 14 აპრილის N1071-03 წერილი გინესის რეკორდსმენის ეტიბარ ელჩიევისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში მცხოვრები თეა გიორგაძის განცხადება შვილის დავით ბარამიძის 35-ე საფეხბურთო სკოლაში სწავლის ათი თვის სწავლის საფასურის - 800 ლარის დაფინანსების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N190 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვით საკრებულოს ახალ წევრს სადრადინ ტალიბოვს უწესდება 100 ლიტრი საწვავის და 25 ლარის სასაუბრო ლიმიტი, ასევე 15 ლარის სასაუბრო ლიმიტი უწესდება მარნეულის მუნიციპალიტეტის აპარატის შტატგარეშე სპეციალისტს მარიამ კაპანაძეს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2016 წლის 5 მაისის N4186/03 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვენ გამოიყოს თანხა N4 ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობისათვის. ვინაიდან დოკუმენტაციას არ ახლდა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, გამოითქვა აზრი, რომ სასურველია მისი განხილვა მოხდეს სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3036 წერილი, რომლითაც გამგებელი ითხოვს თანხმობას საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია „მერსი ქორფი“-საგან გრანტის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ - 6290.00 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 11 მაისის N03/3009 წერილი, რომლითაც გამგებელი ითხოვს მარნეულის მუნიციპალიტეტიდან მოსკოვში, ძიუ-დოს საერთაშორისო ტურნირში მონაწილე, ვერცხლის პრიზიორის ლუკა კაპანაძის წახალისებისათვის თანხის გამოყოფას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3039 წერილით შემოსული საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვუგარ მამედოვის მოხსენებითი ბარათი, სადაც ითხოვენ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი, რომლებიც არ არიან საკრებულოს თანამდებობის პირები და რომელთა ყოველთვიური ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელფასო განაკვეთის 15%-ს. გამოითქვა აზრი, რომ იმ პირობებში, როდესაც საკრებულოს წევრთა დიდი ნაწილი დაუსაქმებელია და შესაბამისად არ აქვს სხვა შემოსავალი, მისთვის კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად დაწესებული ხარჯი მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს გაწეული ხარჯის დაფარვას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულომ იმსჯელა და მათ განუსაზღვრა ყოველთვიური საწვავის ლიმიტი. იმის გათვალისწინებით რომ საკითხი მეტად მნიშვნელოვანია საკრებულოს წევრებისათვის, ხოლო ბიუროზე ისინი არ იმყოფებიან, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხის განხილვა მოხდეს საკრებულოს სხდომაზე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 მაისის N1447-03 მოხსენებითი ბარათი, სადაც ითხოვენ შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-სათვის სამი ერთეული ავტობუსის გადაცემას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 13 აპრილის N1060-03 მოხსენებითი ბარათი ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N42-ს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მეგობარი“-ს მიწის ნაკვეთების საზღვრების (წითელი ხაზები) დადგენის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

17. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეჩვიდმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 23 მარტის N814-03 მოხსენებითი ბარათი ქალაქ მარნეულში, ნარიმანოვის ქუჩა N1-ს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიწის ნაკვეთების საზღვრების (წითელი ხაზები) დადგენის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

18. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთვრამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 11 იანვრის N38-03 მოხსენებითი ბარათი სამსახურის თანამშრომლის დევდარ დევდარიანის კუთვნილი ავტომანქანის სამსახურზე მიმაგრების საკითხი. გამოითქვა აზრი, რომ სასურველია ასეთი საკითხების განხილვა მოხდეს ერთიანად, ვინაიდან მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მსგავსი კიდევ ორი წერილია შემოსული და მიზანშეწონილია მოხდეს მთლიანობაში განხილვა და მსჯელობა რამდენად მისაღებია ამ ფორმით ავტომანქანების საჭიროების დარეგულირება, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

19. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის 2016 წლის 20 აპრილის N01/16 წერილი, რომელიც შეეხება ფონდის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მათი უფლებების განხორციელებას, ვინაიდან, როგორც ფონდის თავმჯდომარე ვაჟა ადამია აცხადება, ადგილი აქვს მათ მიწაზე შეჭრისა და მითვისების ფაქტებს. გამოითქვა აზრი, რომ იმის გათვალისწინებით, რომ საკითხის დასარეგულირებლად ფონდმა შესაბამისი რეაგირებისათვის მიმართა როგორც სამხარეო, ასევე ცენტრალური ხელისუფლების ყველა რგოლს და სამართალდამცავ ორგანოებს, ამ ეტაპზე, საკითხის შესწავლისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მიზანშეუწონელია მისი განხილვა ადგილობრივი ორგანოს დონეზე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

20. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოცე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 10 მაისის N1344-03 მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვით მოქალაქე კამილ კერიმოვი ითხოვს მის საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღრიცხულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.20.483, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, ორბელიანის ქუჩა N26 ა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

21. დღის წესრიგით გათვალისწინებულ ოცდამეერთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 მაისის N1446-03 მოხსენებითი ბარათი, სოფელ საიმერლოში, თამარ მეფის ქუჩა N1-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ბინების ნუმერაციის დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

22. დღის წესრიგით გათვალისწინებულ ოცდამეორე საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 აპრილის N03/2407 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თაქალოში მცხოვრები გიორგი ქუთათელაძის მიწის გადასახადისგან განთავისუფლების შესახებ. აღინიშნა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშა ჯგუფის (თავმჯდომარე თეიმურაზ ბერიძე) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არაა სრულყოფილი. კერძოდ აქტის შედგენაში მონაწილეობას არ იღებდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი და ასევე არაა ექსპერტიზის დასკვნა (შეფასება), რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მიყენებული ზარალის პროცენტულობა, აქტი არის ზოგადი, არაკონკრეტული და არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგეს აღნიშნული მიწის ფართობზე მიწის გადასახადისაგან განთავისუფლების საკითხი, რის გამოც მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიზანშეუწონლად ჩათვალა საკითხის განხილვა მოხდეს საკრებულოს სხდომაზე.

23. დღის წესრიგით გათვალისწინებულ ოცდამესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭონიაშვილმა ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომისიამ შეისწავლა და მიიღო გადაწყვეტილება მოქალაქე სადრადინ გადმოვზე 2013 წლის 23 იანვრის საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ, მაგრამ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დამატებით მოითხოვა, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობდეს კომისიის ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს-საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რის გამოც მან დააყენა საკითხი მოქალაქე სადრადინ გადმოვის საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

24. დღის წესრიგით გათვალისწინებულ ოცდამეოთხე საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 3 მაისის N03/2846 წერილი, რომლის მიხედვითაც შედის ცვლილება მიწის ლეგალიზაციის კომისიის შემადგენლობაში და კონსტანტინე გეგელიძის ნაცვლად კომისიის წევრად შემოდის მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი მატინ ალიევი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის მეათე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი